

გაზეთი ღირს თვეში 80 მანეთი. ცალკე ნომერი ყველგან 20 მ. განცხადება ფასი პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონა 20 მან. მეორე გვერდზე 15 მან. საგლოვადრო განცხადება ფასი პირველი სტრიქონი 20 მან. მეორე სტრიქონი 15 მან. სახელმწიფო და კორესპონდენციები ჯერჯერობათ გაიღებენ შუადღის მისამართით ქ. სოხუმი, 1-ლი სოხ. სანაპირო რაზმის შტაბი, კალა გულიაშვილი, გახ. სახარტლას ხაზით.

№ 2 ურველკვირვული უპარტიო სალიტერატურო გაზეთი № 2

**მიიღება ხელის მოწერა**

ყოველ კვირულ უპარტიო და სალიტერატურო გაზეთ

**სიმაკრთლოს ხმა-ზე**

გაზეთის ფასი:  
წლიურად 1400 მ.  
თვიურად 100 —  
ცალკე ნომერი 25 მ.

ხელის მოწერა მიიღება: ე. ბოხუასთან, ნ. ქურიძესთან  
კ. გულიაშვილთან და ვასო ალანიასთან.

**სოხუმი, 30 იანვარი.**

ცხოვრების ერთი მთავარ მხარეთაგანი, რომლითაც მუშა ხალხი უაღრესად დაინტერესებულია, არის კულტურულ განმანათლებელი სფერო: სკოლა, სახალხო უნივერსიტეტი, თეატრი, თავისუფალი კურსები, ლექციები, თუ სხვა, ვის ესაქარება ყველაზე უფრო, თუ არ მუშათა კლასს? და, არსად არც ერთი ქვეყნის სოციალისტურ, თუ სხვა მუშათა პარტიებში ამ საკითხში განსხვავება - განხეთქილება თითქმის არავითარი არ არსებობს ყველა არსებით მხარეთ ცნობს ამ საკითხის პროგრამულად გადაწყვეტას, მის პრაქტიკულად მოგვარებას.

ყოველი გულწრფელი და საზოგადო საქმის მოყვარული შეგნებული დემოკრატი: მუშა იქნება ის, ინტელიგენტი, თუ სხვა ვინმე, მოვალეა ამ საკითხში ბევრი რამ დაუთმოს საერთო ინტერესს, შინაგანი შეუჩივებლობა, რაც შეიძლება, შეანელოს და საზოგადო ენეოგის შედუღებას, საზოგადოებრივ ძალთა შეთანხმებულათ, მწყობრათ ამოქმედებას ხელი შეუწყოს.

თუ კი ეს აზრი საერთოდ მართალია, იგი ზედმიწევნით სწორა და შესაფერია სოხუმის სი-

ნამდვილისა. სოხუმში, სადაც ბევრი სხვა და სხვა ეროვნების ხალხი სცხოვრობს, ამ საქმის სასურველად მოგვარება განსაკუთრებითი სიძნელეს წარმოადგენს. გარეგან სიძნელეს კიდევ ის შინაგანი სიძნელეც ერთვის, რომ ეს სხვა და სხვა ეროვნებანი კულტურის ერთნაირის დონეზე არა სდგანან მაშინ, როდესაც ამ მხრივ წინ წაწეული, კულტურის სფეროში მადგახსნალი ეროვნება დიდსა და რთულ მიზნებს იყენებს განახორციელებლათ, სულისა და გულის დასატკობ-დასაკმაყოფილებლად, მეორე, ამ მხრივ ჩამორჩენილი ეროვნული მასსა, თვით უუპარტიოვს, ასე ვსთქვათ, აუცილებელის, პირველ ოთხოვნილებების რიგინათ დკმაყოფილებასაც კი ვერ რთავს.

დემოკრატიული სახელმწიფო უქმეტ-ნაკლებოდ ერთნაირად დაინტერესებულია მცხოვრებთა მასების კულტურულად წინ წაწევაში, თუ გნებავთ, საერთო დონემდე მათს ამაღლებაში.

მაგრამ მარტო სახელმწიფოზე ყველაფრის მინებება მისთვის ყველაფერზე ზრუნვის დაკისრება, მიუტოვებელი და შეუფერებელია მაშინ, როცა საერთო აღშენებლობითი მუშაობაში მონაწილეობის მისაღე-

ბათ მოწოდებულია ყველა სასოციალურ ძალეში, ყველა საზოგადოებრივ კლასებში და ჯგუფებში.

მაგრამ ყველა ეს საზოგადოებრივი კლასები და ჯგუფები ერთნაირად როდია დაინტერესებული ამ საქმის მოგვარება მოწესრიგებაში, ამ მხრივ, როგორც ყველაფერში, მუშათა კლასი განსაკუთრებით დაინტერესებულია და სწორეთ ეს კლასი მისი კლასობრივი ორგანიზაციები განსაკუთრებითი მზრუნველობით უნდა ეპყრობოდეს ამ საქმეს.

სამწუხაროდ ჩვენ ბედნიერ ქალაქში სწორეთ დღეს, როცა მუშათა კლასი ასეთის თავისუფლებით სარგებლობს, სრულებით არა სჩანს მუშათა ხელი კულტურულ განმანათლებელ საქმეში. წარსულში კი, როცა მუშათა მდგომარეობა უფრო შევიწროებული იყო, სწორედ მუშათა შეერთებული ძალა აძლევდა ტონსა და მიმართულებას აღნიშნულ მუშაობას. ჩვენ ვერ აგვიხსნია მუშათა ადგილობრივ ორგანიზაციების მხრივ ასეთი უმოქმედობა აღნიშნულ სფეროში. მუშასპირველ ყოვლისა უნდა აინტერესებდეს თავისი საკუთარი მშობლიური ენა და ლიტერატურა, რადგან ყოველგვარ ცოდნას და ესთეტიურ სიამოვნებას ის ბუნებრივად ამ ენაზე ღებულობს. ეს უდაო ქმედობაა განსაკუთრებით კულტურა განათლების მხრივ იმ დონეზე მდგომ მუშათა მასებისთვის, როგორცაა ჩვენი სოხუმ ქართველი მუშები წარმოადგენენ. მიუხედავად ამის, ვგონებ, არსად ისე უპატივცემლოდ ისე მგდებულ-მივიწყებულათ არ უნდა იყვნენ ამ ენისა და ლიტერატურის საქმე, როგორც სოხუმში. ეს კი მიუტევებელი დანაშაულია ადგილობრივ მუშათა ხელმძღვანელებისთვის ან თვით მათ არ აქვი აღნიშნულ საგნის პატრე სტეპა, ან წამოყენებული აზრი მათთვის სადაო და მიუღებელია.

რა თქმა უნდა, საინტერესოა ხელმძღვანელთა აზრი ამ საგანზე, მაგრამ ჩვენ უფრო გვადონებს ამ ამბთან მუშათა მასების უძრობა, მათი თითქმის სრული უმოქმედობა.

## გაგრილი

თუ სოხუმში, როგორც „ნაშე სლოგო“ გვამცნობს, 18 პროფესიონალური კავშირია, ნება გვაქვს ვიკითხოთ; აქვს თუ არა მუშათა ამდენი შეერთებულ ძალას რაიმე პირდაპირი კულტურულ განმანათლებელ მიზნებზე მზრუნავი ორგანიზაცია და აკეთებს, თუ არა ის რასმე? ან სად არის ის საერთო გეგმა და

ტონი, რომელთაც მუშათა ორგანიზაციები უნდა აძლევდეს ამ საქმეს? და ვინც კი დაინტერესებულია წამოყენებული საკითხის გარკვევაში თვით საქმის მოგვარებაში, ის, ვფიქრობთ, რომ არ დაიგვიანებს გამოხმაობაზე გამოხსაურება.

## ზამთარი

გლოვის ჰანგზე კვენის ქარი,  
ქარი, სევდის მგვრელი,  
მასში ისმის ცივი ზარი,  
ცივი, როგორც გველი.

ქობის კედლებს ეტანება,  
ნაპრალებში ძვრება,  
თვით ქობში კი ისე სდნება,  
როგორც მძულვარებ...

ქობის შუა კოცონია  
და გუზგუზებს კერა.  
ეჰ, ვის არ გაუგონია  
ციცხლის ეგ სიმღერა:

„ეს წითელი ნაკერცხლები  
ჩემს ირგვლივ რომ ცვივა  
არის გრძნობის ნაპარკლები  
მათთვის, ვისაც სცივა

და ფერადი ჩემი შუქი,  
ჩემი ელვარება,  
სამკაული არის უქი;  
რა შეედარება!...

ეს გუზგუზი ჩემი ხმაა,  
ჩემი ლაპარაკი,  
მასში ჩემი გულის თქმაა,  
უცხო რამ არაკი.

ბევრს არ ესმის ჩემი ენა,  
ჩემი კილოკავი,  
ჩემი ზ ვით აღის დენა,  
ჩემი ძალა მწვავი!...

მაგრამ ვინც ზამთრის სუსხში  
ჩ მს შქას არსით ელის,  
თუნდაც იყოს ის თბილ ქურქში,  
სხვა ვერც უშვლის.

ზამთრის სუსხი, უღეოდ მწვავი,  
სწვავს და არ კი ათბობს.  
აი, მისი კილოკავი,  
და ამას ვინ არ სცნობს?!...

მაგრამ სხვაა ჩემი ენა,  
ჩემი კილოკავი,  
ჩემი ირგვლივ შქას ფენა,  
ჩემი ალი მწვავი!

ასე მღერის ქობის გულში  
და გუზგუზებს კერა;  
მეც სდნები მის სიყვარულში:  
ესმის ეგ სიმღერა!...

ნ. ზამბლეთელი

ვინ არ იცის, რომ ერის სახელმწიფო რევიტორებში ენას, ლიტერატურას და სხ. ასეთი ძეგად ოილი მნიშვნელობა აქვს საქმე-მოკრატულ რესპუბლიკაში. სადაც ქროფილის გრძელ დი მსკერპლის გაღობი მიზნოვა თავ სი სუკრენობა სადაც დღეს ცხოვრებას თავისი სახელმწიფოებრივი საზე აქვს, და ის ამ რეგად უეჭველად წარმატების გზას ადგია, მისი ენაც და ლიტერატურაც სწორ ფას ტეპით ვითარდება. მაგრამ ამ მხრივ ყოველად აოასსურველ-უნუგეშო მდგომარეობაშია რესპუბლიკის თვალსაჩინო მხარე, როგორცაა სოხუმის ოლქი. ეროვნული საზე, მისი „მე“ აქ მეტად კოქლობს. ის რესპუბლიკას ყოველის მხრით მოწყვეტილია, ადგილობრივ ჟურ. გაზეთს მშობლიურ ენაზე, აქ ამ მხრივ შეიქლო განსაკუთრებული რ-ლი ვიამაშა. მაგრამ მიზეზს თავი დავანებოთ და ასეთებს დღედი ჩვენ მოკლებულნი ვიყავით. ვიღებდით რა საზეში ყველა ზემო თქმულს და ეს ნაკლი რამოდენიმეთ მაინც შეგვემცირებინა, ასე თუ ისე შევსქელით მისი საძარკელის ჩაყრას უკვე გამოვიდა ჩვენი გაზეთის მეორე ნომერი. შეიქლება მას ჯერჯერობით ბევრი ნაკლი ჰქონდეს მაგრამ უნაკლო ქვეყანაზე აშვიათად

## ფელეტონი

### ფიქრები დემოკრატიზმზე (გაგრძელება)

ასე იყო საქმე საფრანგეთის დიდ-რევოლიუციამდე; ანუ იმ დრომდე. სანამ კაცობრიობა არ დარწმუნდა, რომ პიროვნების ბატონობა საზოგადოებაზე უდიდესი ბოროტებაა, რომელიც ერთხელ და სამუდამოთ უნდა მოსპობილ იქნას. ნებნსა და მტვერში მიგდებული პრინციპები დემოკრატიზმისა მონახულ იქნა და მზის სხივებზე გამოტანილ-ცნობილი „დეკლარაცია ადამიანის უფლებათა“ ეს ის ისტორიული არგუმენტი, ის ახალი სიტყვა იყო მაშინდელს ცხოვრებაში, რომელიც ხორცი უნდა შეესხა და „ადამიანის სრულს თანასწორობისაკენ“ ამ ქვეყანაზე „კაცთა შორის სათნოების“ დამყარებისაკენ გზა უნდა გაეკვლია. ცხოვრებამ დაიჭირა სრულიად ახალი

კურსი, ქველის ნანგრევებზე წარმოიშვა სრულიად ახალი შამართულება, დაისახა და გაეფლო სრულიად ახალი ხაზი...

მართალია, ნაპოლეონის რბერძამ დროებით გასწყვიტა ეს ხაზი, მაგრამ ეს ერთია მხრით მაჩვენებელი იყო მხოლოდ იმის, დიდ ჯანყს დიდი აწევ-დ წვევა სჩვივა, ხალხი მეორე მხრით კიდევ იმის, რომ მაშინდელს დროში ჯერ კიდევ გაურკვეველ-შეუწყვეტილი იყო თვით საზოგადოებრივი ცხოვრება და თითქმის არც კი არსებობდა მასში რაიმე გარკვეული მეცნიერულ-თეორიული შეხედულება, რომლითაც უნდა ეხემქლვანელათ რევოლიუციის მეთაურებს. და აი სწორეთ ამიტოვ სტიქიურად წამოგრაგნილი საზოგადოებრივი მოძრაობა თვით ექებდა ინსტიტუტურად, თუ შეიძლება. ასე ათქვას, შესაფერს კალაპოტს, შესაფერს გზას, და ამ ძიების დროს, ის

ხან ნაპოლეონის ჩიხში ვარდება და ხან კიდევ პარაზის კომუნის ოაზისში, რომლის გარშემო საზოგადოებრივი აზრის გაყინულ-ვათოშლილი უმცირებისა და ცრუმორწმუნეობის უდაბნო გადაშლილიყო... ნაპოლეონის ისტორია მოწმობდა იმას, რომ საზოგადოებაში ჯერ კიდევ ღრმად იყო გამჯდარი და ფესვადგული ძველი ტრადიციული შეხედულებანი. პარიზის კომუნის წარმოშობა მოასწავებდა კიდევ იმს, რომ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩაისახა სრულიად ახალი აზრი, რომელმაც უნდა მოიცვას მთელი კაცობრიობის აზროვნება. დიოჩდა ახალი ქვეყანა აღმოებწყინდა კაცობრიობის მანათობელი მზე.

მართალია ეს მზე დროებით ისევ ღვეა დროულდება დაჰფარა, მაგრამ თვით ფაქტი მისი ამოცლისა იმდენად ძლიერი იყო, ის ისე ღრმად



# ხელი შეუწყვეთ ჩვენს გაზეთს

თუ რამე იყოს. ჯერჯერობით მეტად შიშვეა ჩვენთვის ამ ტვირთის ზიდვა მაგრამ შრომელი დემოკრატია, რომლის იმედი ჩვენ გვასუდგმულებს, რომელ კლასსაც ჩვენ სავსებით ვეყრდნობით, დარწმუნებულნი ვართ, რომ შეგვაძლებინებს ამ ტვირთის ზიდვას-


დაეხმარეთ ქართულ დემოკრატიულ ორგანოს, რომელიც თქვენი ინტერესის გამოხატველია ყოველის შერივ გაზეთს გაჭიროება საარსებო წყარო და თქვენი ზნეობრივი მოვალეობაა ხელი შეუწყობთ მას.

ვასო — მუშა.

## სიმღერა სპაკულიანისა

მეტად მძიჱე დრო კი დადგა  
ცივი ზამთარია,  
მაგრამ არა თუ მწყინს, ცოტა  
კიდევ მიხარია.  
ან სად თქილუა, რომ მებადურს  
, წყლის ამღვრევა“ სწყინდა?  
სე იმას ვდარდობ, ამ ოხერმა  
ცამ თუ მოიწმინდა.  
მაგრამ სანამ (ვა ქერცლს ჰყის და  
მიწას ყინვა სწურავს,  
ჩემი გულიც ლალათა სტეშს,  
თითქოს მკერდში სტურავს...  
დე ქალაქის უბრადაში  
აწიკწიკონ ტაქსა,  
ამით ხომ ვერ გააჩენენ  
ყველს, ერბოს, კარაქსა...  
მათი შოვნის საიდუმლო  
ღმერთმა ჩვენ გვარგუნა;  
ჩვენ გვწყალობა „წმინდა ბასილიც“  
და „წმინდა აგუნა!“  
თუ გვსურს, მოვლს ხალხს ყელს  
შეუკრავთ“

ვით გზას დარდანელში,  
გვსურს და, გავხსიოთ, გასაღებიც  
ჩვენ გვიპყრია ხელში...  
ზამთარია და თავს ვგრძნობთ ვით  
გაზაფხულზე ჩვენა  
ისე გვხიბლავს ბაზარნიკის  
ბულბულივით სტვენა.



## მუშა

დავდგი გრდემლი, ხელთ ავიღე  
რეალის ურო საიმედო  
და ზედ უნდა მტკიცე, ურყვე  
ბედის ჩარხი გამოვსტეგო.  
შრომის შეიღწო! სხვა ვინ არის,  
წრფელის გულით რომ მივინდა?  
თავის საქმეს ისევ თვითონ  
უნდა მიდგე, უნდა ქედო...  
გაქრა იგი დრო და ჟამი,  
უსუსური, უიმედო,  
ხელ-აპყრობ რომ სხვას შესთხოვო:  
„გთხოვ, წყალობით გადმომხედო“  
ფუ, იმ კაცსა, ვისაც უძევს  
მსგავსი ფუქე ზრ ხვა გულში!  
არის მონა და იქნება  
მუდამ გლოვა, სინანულში...  
შენი აზრი, შუნი საქმე  
მუდამ უნდა იყვეს ვროი:  
უნდა გწამდეს, თვის გარ შე  
სხვა არ არის მხსნელი ღმერთი!...

ე. ბოხუა.

ჩაეჭდო კაცობრიობის გრძნობა-გონებას, რომ ამიერიდგან იმისი იქიდგან ამოგლეჯა, აღმოფხვრა შეუძლებელი გახდა. შრომელი ხალხის შეერთებულმა ძალამ, პარიზის ღარიბ-ღატაკთა სახით, ამ ნამდვილმა დემოკრატია და მისმა ახლად გაფურჩქვნილმა დემოკრატიზმა ჰპოვა თავისი ბუნებრივი და ნამდვილი გზა. მან იგემა პირველ ხილი, სამოთხისა და მისი ამ ხილისაკენ ღტოლვა მიდრეკილების შეჩერება ამიერიდგან ყოველის გარეშე ძალას აღმატებოდა. მართალია ეს სამოთხეც ისევე დაჰკარგა კაცობრიობამ, როგორც პირვანდელი, საღეთო მწერლოური სამოთხე, მაგრამ დაჰკარგა მხოლოდ იმიტომ, რომ კვლავ უფრო მეტი ენერგიით, მეტის სურვილებით ანთებული, ისევ დაძრულიყო ამ სამოთხის დასაბრუნებლათ. აი ნამდვილი გზა დემოკრატიზმისა!...

ის ამ გზაზე კაი ხანია უკვე შეს-

დგა და ჯერჯერობით თუმცა უმთავრესად „შეუგნებელათ,“ მაგრამ მაინც ძლიერა მოსილი მიეჭანება თავისი ბუნებრივი და საბოლოო მიზნისაკენ. ზოგან ის კიდევაც მისწვდა ამ სრული გამარჯვებას ალაყაფის კარებს. მაგრამ სავსებით იმისი გამარჯვება და ქვეყნათ კაცთა შორის სრულიად ახალი ურთიერთობის, სოციალიზმის, დაყარება შესაძლებელია მხოლოდ მთელი ქვეყნის საზღვრებში. რაც შეეხება მის ნათელ გზას და მისი გამარჯვების აუცილებლობას, ეს კი იდეოლოგიაში ამ თავიდგანვე გადაწყვეტილად შეიძლება ჩაითვალოს, ხოლო მისი განხორციელება, მისი ხელ შესაზებ ფაქტად ქცევა დროს საკითხად.

სამწუხაროთ, სინამდვილეში ჩვენ ჯერჯერობით ბევრი არასასურველ მოსალოდნელობათა წინაშე ვიძყოფებით და ეს მდგომარეობა გვავალებს წარსულის კარგათ გარკვევას

მიღებულ გამოცდილებათა დროზე მოშველიებას და ამ რიგად ბევრი მოსალოდნელი მარცხის თავიდგან აცდენას.

აი რისთვის უბრუნდებით ჩვენ ისევ ნამდვილი დემოკრატიზმის აკვანს, იმ საღ! სათავეს, რომელიც ზევით მოვიხსენიეთ.

(შემდეგი იქნება)

ნ. ქურიძე



# შეიპინათ ჩვენი გარეთი

ის უფროებს და ფასი ცეკვავს:  
მიხტის ზევით ზევით...  
ჩვენც მას მივსდევთ... ბედნიერნო,  
ჰე, თუ დაგვეწვევით!  
უბედურნო! წადით, თქვენთვის  
აქ არ არის მესტო,  
თუ ჯიბეში არ გიქცევით  
ტისიჩა, ნე სტო...  
ზამთარია ცივა, მაგრამ  
გათბა ჩემი გული...  
ქვეყანა კი...რა რუხია,  
ეგ წყალ-წაღებულო!...  
მთელ მის სიბრძნეს ათწილად სჯობს  
ჩემი მძიმე ქისა;  
მისი ხვედრი თასმად არ ღირს  
ჩემი ქალამნისა...  
მაშ, დასტვინე!... დაუარე...  
დაუჭირით ტაში!  
ღმერთმა კი ნუ მოგვიშალოს  
ჩვენი ტოლუმბაში!...

ონისიმე.

## დაუმსახურებელი ბრალ- დებ

ჩვენ ხშირათ გვსმენია და გაგვიგია,  
რომ დღევანდელი სიძვირე მუშების  
დიდ ჯამაგირებით და მოთხოვნილებით  
არის გამოწვეულიო. მართა-  
ლია ეს? სრულიადაც არა. სიძვირის  
გამოწვევასაც აქვს თავისი საქუთა-  
რი მიზეზი რომელიც კი ყველამ  
კარგათ უწყის და არც ამის ანალი-  
ზს აქ არ შეუდგებით, და ჩვე-  
ნის მხრითაც ეს ერთგვარი აბსურ-  
დი კი იქნებოდა, რომ გინდერთ წუ-  
თათაც დავეთანხმით და დღევანდე-  
ლი საზღაპრო სიძვირე მუშებს მივა-  
წეროთ! არა და არა!

ეს მეშინური მოსაზრება, მხო-  
ლოდ პოლიტიკური მახინაცვებით  
გამოწვეული, ყველა ჯურის ჩარჩ  
ვაჭარ-სპეკულიანტთაგან, თავიანთ პი-  
რად ინტერესების საუფქველზე, იმ  
მოსაზრებით, რომ მათ ასეთ უსინდი-  
სო მოქმედებაში, როგორც არის ხე-  
ლოვნურათ საგნების ფასების დღით  
დღე ზრდა და ეკონომიურ სფერო-  
ში არევე-დარევაში, არაფერ მიუხვდეს  
და ნიღაბ ქვეშ იმუშაონ მუშების და  
საწყალ მოქალაქეთა მარჯვნივ მარ-  
ცხნივ საძარცველად.

კაცობრიობის არც ერთ ისტორი-  
ებს არ ახსოვს, რომ მუშები ოდეს-  
სმე ასეთ რეგრესობას იჩენდნენ ჩვე-  
ნს პოლიტიკო-ეკონომიურ ცხოვრე-  
ბაში. ისინი მუდამ ერთის ნაბიჯით  
მიდგოდნენ ცხოვრების ფართე კაბა-  
დონზე და გზადა გზა ქირსა დაღბი-  
ნს ჩუმად ინაწილებდნენ. მუშები

დღესაც ამ კვალსა და გზას ადგანან  
და ხელი ხელ ჩაკიდებული მიდიან  
უკეთეს მემრისასაკენ. ვინ არიტყვის,  
რომ დღევანდელი საშინელი სტრქია  
მუშების ზურგზე არ გადაიარა! ვინ  
არ იტყვის რომ დღესაც მუშები  
დიდ გაჭირვებაში არ არიან!  
და მიუხედავთ ამისა, დღესაც მუ-  
შა მზად არის იმ თავის მკირედ ჯა-  
მაგირიდან მაქსიმუმი დაიკლოს და  
დათმობაზე წავიდეს.  
ეს არის მუშების უკანასკნელი  
სიტყვა.  
ჯერი ახლა სხვაზეა.

საჭიროა, როგორც მუშები, სხვე-  
ბიც დათმობს გზას დაადგინენ და  
ხელი აიღონ სხვის ყვლეფა გლეჯვე ზე  
პირველობას მათგან ველით და  
ჩვენც სრულის თანაგრნობით მზათ  
შეგვდებით გამოძახილს.  
ამას ელის მთელი დემოკრატია.  
ამას ელის მთელი ფიზიკურათ  
მშრომელი მასა.  
და შემცდარია ის, ვინც ფიქრობს,  
რომ სიძვირე მუშების ხელფასის  
მაქსიმუმით იყოს გამოწვეული.  
მოსული მუშა.

## ნუგეზი

ძღვნად ვასო მუშას

დღეს დიდია, მეგობარო,  
ჩვენს გარშემო ჭირ ვარამი:  
შამშილ წყურვლ და სიშიშველ,  
სხვა და ხხვა გვ რ ნალველ-შხამი!  
ბევრი უღარს არა-წმინდა,  
ორ პირი და შავი გული,  
შნთან-შენი, სხვასთან-სხვისი,  
უგზო უკვლოდ მოარული.  
ამ დროს უნდა, ვით ფოლადი,  
უჩეხი და მხნე იმკი,  
უნდა გწამდეს, არ გამქრალა  
ის ნანატრი ჩვენი-ბედი,  
რომელიც რომ ჯერ წინ გვიძევს,  
გვეღიმება, მისკენ გვიხმობს,  
მოციმციმე, ვით მზის სხივი,  
ვათ ნაკადი, მოკისკისობს...  
დრო დადგება, შევიყრებით,  
ურთიერთსა გადავკოცნით  
და რაც გვტანჯავს, გულს გვიწლულეებს  
მას შორს ჩვენგან გადავტყორცნით!...

ე. ბოხუა.

## საყურადღებო ამბები

- სამხდ. ბეგარა, ახლო მომ-  
ვალში მოსალოდნელია ახალგაზდათა  
ჯარში გაწვევა.
- როგორც შრომის კომისარს  
დებემით ატყობინებენ, 15 იანვარს  
თბილისში სატარიფო პალატას და-  
უდგენია ყველა მუშა-მოსამსახურეთა  
თვის ასი პროცენტით ჯამაგირების  
მომატება.
- სპეკულიაცია. ამ ბოლო  
დროს ბაზარზე კიდევ შესაქმნევად  
ემჩნევა პირველ მოთხოვნილებების სა-  
გნებზე ხელოვნურად ფასების ზრდა.
- სოხუმში მეტად ცუდი და  
უჩვეულო ამინდები დაიჭირა.

— შეშისა, და განსაკუთრებით,  
საზრდოსანოვანის სიძვირის გამო,  
ადგილობრივ სამასწავლებლო სემი-  
ნარისთან არსებულ პანსიონის  
მდგომარეობა კრიტიკულია. თუ  
მთავრობიდგან დროზე დახმარება არ  
მოვიდა, მოსალოდნელია დახურვა და  
120 მოწათის გარედ დარჩენა.

გამოცემა სარედაქციო  
კოლფეგიისა.

## მკარავი ძალი

იაფად და კარგად შეკრავს კოს-  
ტუმებს, პალტოებს და თეთრეულს  
მისამართი: გეიძანის ქუჩა, სახ. № 1  
ეზოში. იკითხეთ ნინა. 6—1.